გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 67
(11 626)

30 აგვისტო – 2 სექტემბერი, 2002 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნომერშია:

- თბილისის „დინამო“ უეფას თასის გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავიდა!
- ქართული რაგბი სკანდალში გაეხვია
- დიდი იყო აჭარის წვლილი ქართულ ფეხბურთში
- მესტია გურამ თიკანაძის დაბადებიდან 60 წლისთავის აღსანიშნავად ემზადება
- მერაბ ჟორდანია საქმეს ახალ ოფისში დინჯად და კონკურენტებისადმი კეთილგანწყობით შეუდგა...
- პელეს გუნდი ვერ ანდეს, ისევ ზაგალო დააბრუნეს...

## ირანში, თავისუფალ ჭიდაობაში, მსოფლიო ჩემპიონატზე...

### საქართველოს საჭიდაო სამყარო სოლიდურად იქნება წარმოდგენილი მეზობელი ქვეყნის დედაქალაქ თეირანში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა დიდ ფორუმზე



როგორც ჭიდაობის ფედერაციიდან გვაცნობეს, უკან დარჩა თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატისთვის მომზადების ბოლო ეტაპი. საკონტროლო შეჯიბრებების შედეგად საბოლოოდ დადგინდა ეროვნული ნაკრები. აი ისინიც: გორელები ბესარიონ გოჩაშვილი (55 კგ), დავით პოღოსიანი (60) და ოთარ თუშიშვილი (66), გურჯაანელი რევაზ მინდორაშვილი (84), სოხუმელი ელდარ კურტანიძე (96) და თბილისელი დავით ოთიაშვილი (მძიმე). ნაკრებს სათავეში უდგას ზაზა თურმანიძე. გუნდთან ერთად იქნებიან აგრეთვე მწვრთნელები გია გალდავა და ნუგზარ სხირელი, ექიმი – ზურაბ კახაბრიშვილი. მსაჯად მიწვეულია ედიშერ მაჩაიძე, საპატიო სტუმრებად – მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ლევან თედიაშვილი და ლერი ხაბელოვი. დელეგაციას ახლავს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი ომზარ შოშიტაშვილი.

თეირანში მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება 5-7 სექტემბერს.

## გოჩა ძასოხოვი ფილამ დააფასა

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის გოჩა ძასოხოვის, როგორც კარგი ორგანიზატორის სახელი ჭიდაობის სამყაროში მალე გახდა ცნობილი. საერთაშორისო ფედერაცია (ფილა) მუდამ გულდასმით ადევნებს თვალყურს თავის სამყაროში აქტიურობით გამორჩეულ ადამიანებს და, ცხადია, თვალთახედვის არედან არც გოჩა ძასოხოვის მოღვაწეობა გამორჩენიათ. ფილამ ამ დღეებში სპეციალური დიპლომით დააჯილდოვა გოჩა ძასოხოვი ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისა და ჭიდაობის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის.

## „ლოკომოტივი“ შორს ვერ წავიდა...

### უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩი

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 8.000 მაყურებელი.

**ლოკომოტივი (თბილისი, საქართველო) – კოპენჰაგენი (დანია) 1-4 (1-3)**

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, გ. კვარაცხელია, ონიანი, ჭიჭვეიშვილი (ლაცაბიძე, 28), სირაძე (ბურნაძე (46), გელა ქორიძე, კაიდარაშვილი, ზ. ჯანაშია.

**კოპენჰაგენი:** კილსტედი, ანტონელიუსი, როობა, ბო სვენსონი, ალბრეხტსენი, ლონსტრუპი (ბისგაარდი 68), მიუკლანდი, პ. ნილსენი, ტ. ლარსენი, ზუმა, (ი. პეტერსონი 65), პ. მიოლერი (ტ. იონსონი 75).

*გოლები:* 1-0 ზ. ჯანაშია (9), 1-1 ზუმა (23), 1-2, 1-3 ი. პეტერსონი (67, 73), 1-4 ტ. იონსონი (81).

*გააფრთხილეს:* გელა ქორიძე, ლაცაბიძე.

*მსაჯი:* გ. დუროსი (საბერძნეთი).

*დელეგატი:* ს. სპეჩიკი (პოლონეთი).



პირველ მატჩში ორბურთიანი სხვაობით დამარცხების მიუხედავად, რკინიგზელები ფიქრობდნენ, რომ შინ შეძლებდნენ „კოპენჰაგენის“ ძლევას სასურველი შედეგით. ამიტომაც, მასპინძლები, პირველივე წუთებიდანვე ცდილობდნენ უპირატესობის მოპოვებას, თუმცა ნათელი გახდა, რომ დანიელი ფეხბურთელები დაცვაში „ჩაჯდომას“ არ აპირებდნენ. და მაინც, მე-9 წუთზე ზაზა ჯანაშიამ ბრწყინვალე გოლით შემდგომ ეტაპზე გასვლის იმედი გაუორკეცა „ლოკომოტივს“ და მის გულშემატკივრებს.

გოლის საკუთარ კარში მიღების შემდეგ, დანიელები გააქტიურდნენ, ორჯერ მიეცათ ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსი, ერთხელ ძელმა იხსნა რკინიგზელთა კარი გოლისგან, მეორედ – დანიელმა თავდამსხმელმა „მაკრატელა“ ბრწყინვალედ კი შეასრულა, მაგრამ ბურთი ოდნავ ააცილა ლომაიას კარს. სხვა შემთხვევაში მასპინძლები, ასე თუ ისე, ახერხებდნენ „კოპენჰაგენის“ სახიფათო შეტევების მოგერიებას. შუა ტაიმში სირაძე აღმოჩნდა დანიელთა გოლკიპერთან პირისპირ და ამ უკანასკნელისთვის ბურთის თავზე გადაგდებაც შეძლო, მაგრამ ბურთი ზემოდან დაეცა კარის ბადეს. ამას დანიელთა მძაფრი შეტევა მოჰყვა და 23-ე წუთზე ზუმამ წონასწორობა აღადგინა, რამაც კიდევ უფრო გაურთულა საქმე „ლოკომოტივს“. ანგარიშის გათანაბრებამ სტუმრები დაამშვიდა, თუმცა ქართველი ფეხბურთელები ბურთის მიტანას მეტოქის საჯარიმომდე კარგა ხანს ვერ ახერხებდნენ. „ლოკომოტივს“ აშკარად ეტყობოდა კახა გოგიჩაიშვილის არყოფნა. წინ მარტოდ დარჩენილი ჯანაშია კი ვერ უმკლავდებოდა დანიელ მცველებს.

პირველი ტაიმი ისე გაილია, თბილისელებმა მეტი გოლის გატანა ველარ მოახერხეს.

მეორე ტაიმი რკინიგზელებმა ისეთივე შემართებით დაიწყეს, როგორც მატჩის პირველი ნახევარი. თუმცა ეს შეტევები ძირითადად ქაოსურ ხასიათს ატარებდა. ზაზა ჯანაშიამ კი კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა მაყურებელი: „ლოკომოტივის“ ფორვარდი რამდენიმე დანიელ მცველს გასცდა და ძლიერად დაარტყა, თუმცა, ოდნავ არაზუსტად, შეტევებში გართულ თბილისელებს ცივი წყალი გადაასხა მინდორზე ახალშემოსულმა პეტერსონის მიერ 7-ე წუთზე გატანილმა გოლმა „კოპენჰაგენი“ დააწინაურა 2-1 და უკვე ცხადი გახდა, რომ „ლოკომოტივი“ უეფას თასის გათამაშებიდან გამოვარდნისთვის იყო განწირული. მატჩის დამთავრებამდე დანიელებმა კიდევ ორჯერ აილეს მასპინძელთა კარი და გაიმარჯვეს 4-1.

მაშ ასე, მეორე ქართული გუნდი გამოეთიშა ევროტურნირებს. საწყენია, რომ „ლოკომოტივმა“ ასე უსახელოდ დაასრულა წლევანდელი ევროპული სეზონი და, საერთოდ, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ბოლოდროინდელი წარუმატებლობა (ეს არ ეხება თბილისის „დინამოს“) ცნობილ მხატვრული ფილმის „პირველი მერცხალის“ სცენარის მიხედვით გრძელდება.

**თენგიზ ჩოგანიძე, მიხეილ საბახტარიშვილი.**

ქართული ფეხბურთის ამბები...




## „დათვებმა“ დანიელები დაჭორეს

**ევროპის რეგიონთა თასის გათამაშებაში ჩაერთო ბათუმის „დათვები“. აჭარელმა მორაგბეებმა პირველი მატჩი სტუმრად გამართეს დანიაში „კოპენჰაგენის“ სამოყვარულო კლუბთან.**

ბათუმური კლუბის ხელმძღვანელობის თქმით, დანიელმა კოლეგებმა ცუდი მასპინძლობა გაუწიეს სტუმრებს – დააბინავეს იაფფასიან სასტუმროში, მძიმე პირობებში უპატრონოდ მიატოვეს და მხოლოდ მატჩის დაწყების წინ „გაახსენდათ“.

მასპინძელთა უყურადღებობით გაავებულმა „დათვებმა“ ჯავრი იყარეს და „კოპენჰაგენი“ გაანადგურეს – 61:0.

„დათვების“ მეტოქე მეორე წრეში უელსის ჩრდილოეთ რეგიონის გუნდი იქნება. ეს მატჩი ბათუმში, 12 ოქტომბერს გაიმართება.

**თენგიზ ჩოგანიძე,**
სპეციალურად „ლელოსათვის“
ბათუმიდან

## უეფა ულოცავს მერაბ ჟორდანიას!

ჩვენ ვადასტურებთ 24 აგვისტოს თქვენი ფაქსის მიღებას, რომელიც ინფორმაციას გვაწვდის ჩვენ, რომ სფფ-ს ყრილობამ ხელახლა აგირჩიათ თქვენ სფფ-ს პრეზიდენტად 2002-2006 წლების პერიოდში.

უეფას პრეზიდენტის ლენარტ იუჰანსონის, და უეფას აღმასკომის მხრიდან ჩვენ გადმოგცემთ გულითად მილოცვას თქვენი არჩევის გამო, გამოვხატავთ ჩვენს საუკეთესო სურვილებს და პირად კმაყოფილებას. გისურვებთ წარმატებებს.

ვიმედოვნებთ ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება.

თქვენი
გერჰარდ აიგნერი


V GFF Congress / Elections

Dear Mr Jordania,

We acknowledge receipt of your fax of 24 August, informing us that the V GFF Congress has re-elected you as the President of the Georgian Football Federation for the 2002/2006 period.

On behalf of the UEFA President Lennart Johansson and the UEFA Executive Committee, we convey our most sincere congratulations for this election, extending our best wishes for success and personal satisfaction in this function.

We look forward to continue our existing cooperation.

Yours faithfully,

UEFA

Gerhard Aigner
Chief Executive

US OPEN 2002
A USTA EVENT

6 ყველაზე მდიდარი საჩოგბურთო ტურნირი

JEFA CU

უეფას თასი

5 საკვალიფიკაციო ეტაპი, განმეორებითი მატჩები



5 გულიტი 40 წლისა ხდება

## ივან დე ლა პენია ესპანეთში ბრუნდება

იტალიური საფეხბურთო კლუბ „ლაციოს“ ყოფილი ფეხბურთელი ივან დე ლა პენია მომავალ სეზონში ესპანურ „ესპანიოლის“ რიგებს შეავსებს. პენიას კონტრაქტს „ლაციოსთან“ გასული სეზონის დასრულებისთანავე გაუვიდა ვადა და პენია მშობლიურ ესპანეთში თავისუფალი აგენტის როლში დაბრუნდა.

შეგახსენებთ, რომ პენია ესპანეთში ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად ითვლებოდა. მან თავისი კარიერა „ბარსელონაში“ დაიწყო, როცა ამ უკანასკნელს იოჰან კრუიფი ხელმძღვანელობდა. როცა მწვრთნელთან უთანხმოება მოუვიდა, დე ლა პენია „ლაციოში“ გადავიდა, თუმცა იტალიაში ფეხი ვერ მოიკიდა – არენდით თამაშობდა მარსელის „ოლიმპიკში“.

## ფეტისოვი სწავლას აპირებს



„სპორტულ საქმეებში კარგად ვერკვევი, მაგრამ მიჭირს მართვა, მინდა ვისწავლო, რათა უკეთ ვმართო დარგი“ – განაცხადა რუსეთის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ვიაჩესლავ ფეტისოვმა, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ახალი სასწავლო წლიდან მერხს მიუჯდეს ერთ-ერთ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში.

ფეტისოვი, წარსულში ცნობილი ხოკეისტი, შემდეგ მწვრთნელი და სპორტის სახელმწიფო ფუნქციონერი, ამ ორი კვირის წინათ რუსეთის პრეზიდენტთან შექმნილი ფიზკულტურისა და სპორტის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედაც აირჩიეს, თავმჯდომარე კი თავად პუტინია. ალბათ, ამიტომაც უფრო გადაწყვიტა ფეტისოვმა ცოდნის გაღრმავება.

CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა

## ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა

გაიმართა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა. 24 გუნდი 8 ქვეჯგუფში შემდეგნაირად გაანაწილეს.

A ჯგუფი: „არსენალი“ (ინგლისი), „ბორუსია“ (დორტმუნდი, გერმანია), პსვ „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია), „ოსერი“ (საფრანგეთი).

B ჯგუფი: „ვალენსია“ (ესპანეთი), „ლივერპული“ (ინგლისი), „სპარტაკი“ (რუსეთი), „ბაზელი“ (შვეიცარია).

C ჯგუფი: „რეალი“ (ესპანეთი), „რომა“ (იტალია), აეკ (საბერძნეთი), „გენკი“ (ბელგია).

D ჯგუფი: „ინტერი“ (იტალია), „ლიონი“ (საფრანგეთი), „აიაქსი“ (ჰოლანდია), „რუსენბორგი“ (ნორვეგია).

E ჯგუფი: „იუვენტუსი“ (იტალია), „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია), „დინამო“ (უკრაინა), „ნიუკასლი“ (ინგლისი).

F ჯგუფი: „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი), „ბაიერი“ (გერმანია), „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი), „მაკაბი“ (ისრაელი).

G ჯგუფი: „ბაიერნი“ (გერმანია), „დეპორტივო“ (ესპანეთი), „მილანი“ (იტალია), „ლანსი“ (საფრანგეთი).

H ჯგუფი: „ბარსელონა“ (ესპანეთი), „გალათასარაი“ (თურქეთი), „ლოკომოტივი (რუსეთი), „ბრიუგე“ (ბელგია).

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 11 თვე დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 5 თვე გვაშორებს

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!**

## „თეთრი ოლიმპიადის" მასპინძლობისთვის ბრძოლას ოთხი ქალაქი შემორჩა

ლოზანაში გამართულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომაზე დაადგინეს ის ოთხი ქალაქი, რომლებიც გააგრძელებენ ბრძოლას 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად. „ბედნიერთა ოთხეულში" მოხვდნენ კანადური ვანკუვერი, ავსტრიული ზალცბურგი, შვეიცარიული ბერნი და სამხრეთ კორეული პენჩხანი. ამ კვარტეტიდან საბოლოო არჩევანს სოკ-ი მომავალი წლის ივლისში გააკეთებს.

# ქართული რაგბი ფრანგულ სკანდალში

## «ბორჯღალოსნებმა» კი ოთხთა ტურნირი წააგეს

**ქართული რაგბი ბევრისთვის მოულოდნელად, სკანდალურ ამბებში გაეხვია: საქართველოს ნაკრებისა და „ბრივის" მორაგბეს მამუკა მაგრაქველიძეს სადოპინგო პრეპარატები აღმოუჩინეს და დააკავეს, თუმცა, მოგვიანებით, იგი გაათავისუფლეს.**



სარაგბო კლუბმა „ბრივმა" სიტუაციის გარკვევამდე მაგრაქველიძეს დროებით შეუჩერა სამუშაო ვიზა. სკანდალი ამით არ დასრულებულა, პირიქით, უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო: ზოგიერთმა ფრანგულმა გაზეთმა ქართველი მორაგბეები „შავი" ფულის „გათეთრებასა" და რუსულ მაფიასთან კავშირში დაადანაშაულა. საქმეში საფრანგეთში მოღვაწე მიშელ იაშვილი ჩაერია, რომელიც ერთ დროს ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე იყო და დღესაც დიდ პატივს სცემენ ფრანგები. საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ყველაფერი გაირკვევა უახლოეს ხანში.

პირველი შედეგები უკვე ცნობილი გახდა: ქალაქ ბრივის პროკურატურამ მაგრაქველიძეს მთელი რიგი ბრალდებები მოუხსნა. ლაბორატორიულმა ანალიზმა ქართველის სისხლში ვერ აღმოაჩინა აკრძალული პრეპარატი. ასეთი რამ ვერც მის ბინაში იქნა მიკვლეული. რაც შეეხება ამანათს, მასში აღმოჩენილი სადოპინგო საშუალება მეტად მცირე გამოდგა. დარჩა ერთადერთი რამ: ეკუთვნოდა თუ არა ავადხსენებული ამანათი მაგრაქველიძეს? „ბორჯღალოსანს" ახლა სწორედ ამ საკითხის მტკიცება მოუწევს პროკურატურაში.

საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობის ინფორმაციით, მაგრაქველიძე სუფთაა და გაუგებრობის მსხვერპლი გახდა. ყველაფერი დღეს გაირკვევა.

ამასობაში კლოდ სორელი მშობლიურ ბეზიეში განაგრძობს საქართველოს ნაკრების მომზადებას მსოფლიო თასის 2003 წლის გათამაშების შესარჩევი ტურნირისათვის. ამ ქალაქშივე იასპარეზეს „ბორჯღალოსნებმა" ოთხთა ტურნირში.

ამ ტურნირის პირველ ტურში ქართველი მორაგბეები კლუბ „კოლომიესთან" დამარცხდნენ ანგარიშით 36:48, ასევე წარუმატებლად დაასრულეს შეხვედრა მესამე ადგილისათვის „ბეზიესთან" — 0:36. უნდა ითქვას, რომ საქართველოს ნაკრების წარუმატებლობა ოთხთა ტურნირში ტრაგედიად არ უნდა იქცეს. საქმე იმაშია, რომ გუნდს აკლდნენ წამყვანი მოთამაშეები: ილია ზედგინიძე, პალიკო ჯიმშელაძე, ვასილ კაცაძე და ლევან ცაბაძე. გარდა ამისა, მევლუდ მთიულიშვილი, გოდერძი შველიძე, ვანო ნადირაძე და ტარიელ რატიანიძე საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ასპარეზობდნენ. ისინი „ბეზიეს" მოთამაშეები არიან. „ბორჯღალოსნები" სექტემბერში რამდენიმე ტესტ-მატჩს გამართავენ ფრანგულ კლუბებთან.

ორიოდე სიტყვა მსოფლიო თასის გათამაშების შესარჩევ ეტაპზე ჩვენს მეტოქეზეც ვთქვათ. ირლანდიის ნაკრების თავკაცმა ედი სალივანმა დაასახელა ის 22 მორაგბე, რომლებიც 7 სექტემბერს რუმინეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში ითამაშებენ (არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუმინეთის ნაკრები საქართველოს ნაკრებთან ერთად ერთა თასზე ასპარეზობს). ირლანდიის ნაკრები ასე გამოიყურება: გირვან დემასი, დენის ჰიკი, ჯონ კელი, რობ ჰენდერსონი, კევინ მაგსი, ბრაიან ოდრისკოლი, დევიდ ჰემბრიზი, რონან ოგარა, პიტერ სტრინგერი, გაი ისტერბი, პოლ უოლესი, ჯონ ჰეისი, რეჯი კორიგანი, კიტ ვუდი, შეინ ბირნი, გარი ლონგვილი, მალკოლმ ოკელი, ლეო კულენი, საიმონ ისტერიბი, ენტონი ფოლი, ერიკ მილერი, კიტ გლისონი.

თენგიზ ჩობანიძე

სოფელი ღონიერია...

# მესტიაში სპორტი არ ჩამკვდარა – არც ჩაკვდება...

*გალაქტიონ (ვალერი) ფარჯიანი დაიბადა 1942 წელს. დაამთავრა ქუთაისის №1 საშუალო სკოლა, პროფსასწავლებელი — წითელი ხის დამამუშავებელი ოსტატის სპეციალობით, შემდეგ — საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტი. სამუშაოდ გაგზავნეს მესტიის რაიონის სოფ. ლატალში ფიზაღზრდის მასწავლებლად. იქიდან მოყოლებული მხოლოდ სპორტში მუშაობს. ამჟამად მესტიის რაიონის გ. თიკანაძის სახელობის სპორტსკოლის დირექტორია. არის საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.*





1978 წელს სვანეთში სპორტული ნაგებობების მშენებლობა დაიწყო. ეს ის პერიოდია, როცა პირად თაოსნობას დიდი გასაქანი ეძლეოდა, როცა ახალგაზრდობა, თუ მას ღირსეული და ავტორიტეტული თავკაცი ჰყავდა, მზად იყო „მთები გადაებრუნებინა". საბედნიეროდ, სვანეთს მაშინ ჰყავდა ასეთი ლიდერი — ბ-ნი ბორის კახიანი. სწორედ მისი ხელმძღვანელობით დაიწყს სვანეთში სპორტული ბაზების მშენებლობა საზოგადოებრივ საწყისებზე. ახალგაზრდობას მხარში დაუდგნენ უფროსები და, თქვენ წარმოიდგინეთ, დიდი ხალისით ირჯებოდნენ მოზარდებიც.

პირველი სიხარული ბავშვებს მოუტანა ილიკო გაბლიანის სახელობის სპორტულმა სკოლამ, რომელიც სულ მალე აშენდა მესტიაში. მორჩნენ თუ არა სამუშაოს, უმალვე წამოიწყეს ახლის — გურამ თიკანაძის სახელობის სპორტსკოლის მშენებლობა სოფ. ლატალში. აქ უკვე პირადად მუშაობდა გალაქტიონ ფარჯიანი. 160 დღე იშრომა მთელმა სოფელმა მუხლჩაუხრელად. „ძალა ერთობაშიაო" — ნათქვამია. რაკი ერთობის ძალა იგრძნეს, პარალელურად სამაგალითო სვანური კოშკისა და სახლის მშენებლობაც წამოიწყს.

„კოშკის მშენებლობა განსაკუთრებით სახიფათო იყო, რადგან თითქმის აღარ ცხოვრობდნენ მესტიაში ამ უნიკალური ნაგებობის აშენების ოსტატები, მაგრამ საქმე მაინც მივიყვანეთ ბოლომდე" — იგონებს გ. ფარჯიანი.

გურამ თიკანაძის სახელობის სპორტსკოლა საქართველოს სპორტკომიტეტმა 1981 წელს გახსნა და დააფინანსა. იქიდან მოყოლებული ყველა ადგილობრივი მოზარდი ამ სკოლაში ეზიარა სპორტს, ბევრმა მათგანმა თავი გამოიჩინა როგორც საქართველოს, ისე მის ფარგლებს გარეთ გამართულ შეჯიბრებებში. 80-იანი წლების დასაწყისშივე გაიხსნა და მუშაობას შეუდგა აგრეთვე მირზა გელოვანის სახელობის სპორტული სკოლა.

გ. ფარჯიანის ხელმძღვანელობით სპორტული მუშაობა, მიუხედავად ამდენი პრობლემებისა, ჩვენი ქვეყნის ამ მაღალმთიან მხარეში, არ ჩამკვდარა.. პირიქით, ახლა სვანეთში დიდი ხნის ნაოცნებარის ასრულებასაც შეუდგნენ — იწყება ტრამპლინიდან თხილამურებით მხტომელთა ინტენსიური აღზრდა. მესტიაში მხტომელთა მომზადებას, რომლებიც ბუნებით მომადლებული ნიჭითაც არიან დაჯილდოებულნი, კობა წაქაძე დიდი ხანია ითხოვდა და დახმარებასაც ჰპირდებოდა. ახლა ამ საქმეში რაიონის ხელმძღვანელობაც ჩაერთო და საქმე მკვდარი წერტილიდან უკვე დაიძრა. გ. ფარჯიანის ხელმძღვანელობით, კ. წაქაძისა და რაიონის გამგეობის თანადგომით, სოფ. ლატალში რეზო ფარჯიანის სახელობის 25-მეტრიანი ტრამპლინი აიგო, ხოლო წლევანდელი ზამთრისათვის კიდევ ერთი — 35-მეტრიანი ტრამპლინი ჩადგება მწყობრში, მომავლისთვის 40-მეტრიანის აგებასაც ვარაუდობენ.

სულ მალე, 12 სექტემბერს, გურამ თიკანაძეს გამოჩენილ პიროვნებას, სახელოვან ალპინისტს, უებრო მეგობარს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდებოდა. გ. ფარჯიანმა ყველაფერი გააკეთა, რომ სვანეთში, რომელიც ასე უსაზღვროდ უყვარდა გურამს და თავისი სიცოცხლე იქ დაასრულა ტრაგიკულად, საყოველთაოდ აღინიშნოს ეს საიუბილეო თარიღი და დღესასწაული „გურამობა".

„გადაწყვეტილი გვაქვს, რაიონის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით შევქმნათ თიკანაძის ფონდი, რომელიც მიზნად დაისახავს სპორტული კომპლექსების რეკონსტრუქციას და მოვლა-პატრონობას, თორემ დრო გავა და ბაზები შეიძლება მწყობრიდან გამოვიდეს, რითაც საქართველოს ამ უმშვენიერეს კუთხეს ახალგაზრდების აღზრდის კერა მოაკლდება, ქართულ სპორტს — თავანკარა შენაკადი" — ამბობს გ. ფარჯიანი.

თამუნა ჯანვერდაშვილი

## „..."-ს მატიანე



ეს სურათი გადაღებულია 63 წლის წინათ, 1939 წლის აგვისტოში. ვიცით, რომ ფოტოზე აღბეჭდილია საქართველოს განათლების სამინისტროს მოსწავლე-სპორტსმენთა ნაკრები გუნდი. წინა რიგში ბავშვთან ერთად ზის გიორგი მერკვილაძე (სათვალეებით).

ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში მძლავრად იკიდებდა ფეხს ბავშვთა სპორტის მწყობრი სისტემა — მტკიცდებოდა და ფართოვდებოდა სპორტული სკოლების ქსელი, ნაყოფიერ შედეგს იძლეოდა საბჭოთა კავშირში პირველად საქართველოში ამუშავებული სპორტული სკოლა-ინტერნატი.

**თუ ვინმე ამოიცნობს სურათზე აღბეჭდილ იმდროინდელ მოსწავლე-სპორტსმენებს და მწვრთნელ-მასწავლებლებს, გთხოვთ, გვაცნობოთ რედაქციაში.**



# ნაკრებს გვერდით დავუდგეთ და ოპტიმიზმის საფუძველიც გვექნება

ყრილობის შემდეგ სფფ-ს ძველმა — ახალმა პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ მასმედიას პირველად უმასპინძლა. პრესკონფერენცია სფფ-ს ახალი ოფისის გაკრიალებულ და განათებულ სააქტო დარბაზში გაიმართა. შეხვედრაზე მერაბ ჟორდანიამ დასმულ შეკითხვებს საინტერესო და ამომწურავი პასუხები გასცა. იგი შეეხო ყრილობის მსვლელობასაც, იქ განვითარებულ მოვლენებს და შედეგებს, ილაპარაკა ნაკრების პერსპექტივებზე, ბავშვთა ფეხბურთზე, სფფ-ში მომხდარ ცვლილებებზე, სამომავლო სამუშაო გეგმებზე და ურთიერთობებზე საზოგადოებრიობასთან, ქართულ ფეხბურთში არსებულ პრობლემებზე და პრიორიტეტებზე.

— „მიუხედავად დაპირისპირებისა და წინააღმდეგობისა, ყრილობამ ექსცესების გარეშე ჩაიარა და ნორმალურ ვითარებაში ჩატარდა“.

— „საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ფეხბურთის ფედერაციისა და მისი პრეზიდენტის მუშაობა ეროვნული ნაკრების შედეგებით ფასდება, თუმცა, ბევრ სხვა ქვეყანაში ასე არ ხდება, რადგან ჩვენთან ასეა, ესეც დიდი პატივია, საქართველო საფეხბურთო ქვეყნად ითვლება, ჩვენც პასუხისმგებელნი ვართ ნაკრების თამაშზე. ეროვნულ გუნდს ყველა გვერდით უნდა დავუდგეთ. განწყობა ოპტიმისტურია. მიუხედავად იმისა, რომ თურქებთან თამაშის შემდეგ ზოგიერთ ფეხბურთელს ვუსაყვედურეთ, ისინი ყველაფერს იღონებენ, რომ შესარჩევ მატჩებში დადებით შედეგს მივაღწიოთ“.

— „ჩემს პროგრამას რაც შეეხება, ყრილობაზე მასზე დაწვრილებით ლაპარაკს მოვერიდე, ვითარება დაძაბული იყო და იმიტომ. პროგრამა ყველას დავურიგე და მას კარგად იცნობენ. ჩვენი მუშაობის პრიორიტეტი იქნება ეროვნული ჩემპიონატი და ბავშვთა ფეხბურთი. პირველობის დაძაბულობა უნდა შევინარჩუნოთ. ჩინებული მატჩი იყო „ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“. ჩემპიონატს კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ, რათა იქიდან ნაკრებს შესაბამისი შევსება მივცეთ. ძირითად თანხებს ბავშვთა ფეხბურთში მივმართავთ. უეფა კლუბთა ლიცენზირებას მოითხოვს და ევროტურნირებში მოასპარეზე კლუბებს მინიმუმ სამი ასაკობრივი ჯგუფის ბავშვთა გუნდი უნდა ჰყავდეს. ბევრ გუნდს ამის საშუალება არა აქვს და მათ აუცილებლად დავეხმარებით“.

— „ჩვენი ოპონენტების საუბარი სპონსორის თაობაზე, მათი სერიოზული კოზირი იყო. არ მინდა მოვლენებს გავუსწრო, გარწმუნებთ, ახლო მომავალში სპონსორის გარეშე არ დავრჩებით“.

— „სფფ-ს სტრუქტურაში ცვლილებები იქნება. აღმასკომი ძველი შემადგენლობით გააგრძელებს მუშაობას მომავალ ყრილობამდე, რომელიც ექვს თვეში უნდა მოვიწვიოთ, შეიძლება უფრო ადრეც, სადაც ფიფას წესდების შესაბამისად შევცვლით სფფ-ს წესდებას, შეიცვლება აღმასკომის შემადგენლობაც“.

— „ჩვენთვის ოპონენტი კლუბები არ არსებობენ, მით უმეტეს მათ რიცხვს თბილისის „დინამო“ არ მიეკუთვნება, ეს კლუბი ჩვენი ცხოვრების ნაწილია“.

— „დავით პეტრიაშვილთან ჩვენი ურთიერთობა ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ უნდა მივმართოთ. მისი პროფესიონალიზმი ეჭვქვეშ არასოდეს დამიყენებია. იგი ფეხბურთში უნდა დარჩეს“.

— „ქალთა ფეხბურთის წარმომადგენელს ყრილობაზე მანდატი აუცილებლად უნდა ჰქონოდა. ეს სერიოზული შეცდომა იყო, თუმცა, ყოველივეს მაშინ შექმნილმა ვითარებამ შეუშალა ხელი. ის პიროვნება, რომელსაც მანდატი უნდა ჰქონოდა, იმ


მერაბ ჟორდანია
ფოტო ელდარ მალხაზიშვილის

დროისთვის ციხეში იჯდა. საერთოდ კი, ქალთა ფეხბურთს სერიოზულად უნდა მივხედოთ“.

— „ორი დინამოს არსებობის პრობლემა სერიოზული საკითხია და ჯერჯერობით დაუმთავრებელია. ჯონი გიგანი კვლავ აპირებს ამ დავას დაუბრუნდეს და სიმართლე საბოლოოდ დაადგინოს. აქ იმდენად მრავალმხრივი დავაა, რომ ყველაფერს სფფ ვერ გადაწყვეტს“.

მერაბ ჟორდანიამ ჟურნალისტებთან საუბარი ისევ ნაკრების თემით დაასრულა და დარწმუნებით განაცხადა, რომ მისი განწყობა ოპტიმისტურია.

## შვეიცარია — საქართველო
# ქართული ლეგიონი დღეს შეივსება

სულ უფრო ცოტა დრო რჩება ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩამდე. ჩვენს ჯგუფში ტურნირს ოთხი გუნდი დაიწყებს. 7 სექტემბერს რუსეთის ნაკრები ირლანდიას უმასპინძლებს, 8 სექტემბერს ჩვენებურები შვეიცარიელებს ესტუმრებიან. მატჩისთვის ჩივაძემ 18 ფეხბურთელიდან 13-ის ვინაობა უკვე გაარკვია, კიდევ ხუთისას დღეს გაანდობს მასმედიას. ცამეტი ფეხბურთელიდან ყველა ლეგიონერია — კობიაშვილი, ცქიტიშვილი, იაშვილი (ყველა — ფრაიბურგი), რეხვიაშვილი (სკონტო), ნემსაძე (დანდი), ჯამარაული (მეტალურგი, დონეცკი), ქინქლაძე (დერბი), საჯაია (ტორპედო. მოსკოვი), შეყლაძე (ლიერსი), ჯიქია (ამიცა), კალაძე (მილანი), შ. არველაძე (რეინჯერსი), დემეტრაძე (ალანია). მთავარი მწვრთნელის თვალთახედვის არეში არიან, გახოკიძე (პსვ), ყველაშვილი (ლუცერნი), აშვეთია (ალანია), ზ. ჯანაშია (ლოკომოტივი, თბილისი), შ. აფხაზავა (არსენალი, უკრაინა).

ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები გერმანულ შეკრებაზე რიუიტში — ხვალ, 31 აგვისტოს გაფრინდებიან. მატჩების წინადღეებში კი შვეიცარიაში ავტობუსებით გადავლენ.

## ჩვენი მეტოქეები
# კუნი შემადგენლობას ასახელებს და სტეფანით იმუქრება

ჩვენი ნაკრების პირველი მეტოქის მთავარმა მწვრთნელმა იაკობ კუნმა 8 სექტემბრის მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა. მეკარეები — იორგ შტილი (მიონხენგლადბახი, გერმანია), პასკალ ცუბერბიულერი (ბაზელი). მცველები — ბერნტ ჰაასი (სანდერლენდი, ინგლისი), სტეფან ანშო (ლივერპული, ინგლისი), სტეფან კელერი (ციურიხი), ლუდოვიკ მანინი (ვერდერი, გერმანია), რემო მაიერი (მიუნხენი, გერმანია), პატრიკ მიულერი (ლიონი, საფრანგეთი), მურატ იაკინი (ბაზელი).

***ნახევარმცველები*** — რიკარდო კაბანასი (გრასჰოპერი), ფაბიო სელესტინი (მარსელი, საფრანგეთი), სებასტიან ფურნიე (სერვეტი), იოჰან ფოგელი (პსვ), რაფაელ ვიკი (ჰამბურგი, გერმანია), ჰაკან იაკინი (ბაზელი).

***თავდამსხმელები*** — სტეფან შაპუიზა (იანგ ბოისი), ალექსანდრ ფრეი (სერვეტი), ლეონარდ ტურე (სერვეტი).

მატჩი 8 სექტემბერს, ბაზელში გაიმართება და ადგილობრივი დროით 16 საათზე დაიწყება. შეხვედრის კომისარი ავსტრიელი ვოლფგანგ ტიერიხტერია, იტალიელი პაოლო ბერგამო მსაჯებს დააკვირდება, სლოვაკი ვლადიმირ ხრნაკი კი მატჩის მთავარი მსაჯია.

# ჯერ ესტონეთში, მერე კვიპროსზე

**წლევანდელი სანაკრებო ოფიციალური სეზონი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ საქართველოს ეროვნული გუნდის მომავალი წლის გასამართი მატჩების კონტურები უკვე გამოიკვეთა. 2003 წლის სეზონს ნაკრები ზამთრის ბოლო თვეში დაიწყებს და 10-12 თებერვალს (მატჩის ზუსტი თარიღი მოგვიანებით დადგინდება) ესტონელებს წლევანდელ ვალს დაუბრუნებს. ბალტიელებთან შეხვედრის შემდეგ ეროვნული ნაკრები პირდაპირ კვიპროსისკენ დაიძრება და იქ თებერვლის შუა რიცხვებში საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს.**

# გაზაევმა ტიტოვი და სიჩოვი ნაკრების მიღმა დატოვა და ონოპკოს მოუხმო

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენი ნაკრების ორი უმთავრესი მეტოქე ერთმანეთს 7 სექტემბერს, მოსკოვში დაუპირისპირდება. რუსთა ნაკრების თავკაცმა ვალერი გაზაევმა ირლანდიელებთან საპაექროდ 24 ფეხბურთელი გამოიძახა, მათგან კი საბოლოოდ 18 შეარჩევს. ნაკრებში კვლავ მოუხმეს ვიქტორ ონოპკოს. ტრავმების გამო გუნდში არ არიან კაპიტანი ტიტოვი, სენნიკოვი, იზმაილოვი და „სპარტაკიდან“ უნებართვოდ გაქცეული სიჩოვი. ძველებიდან ნაკრებში ისევ მოიწვიეს კოვტუნი და ბესჩასტნიხი. ნაკრების სრული სია ასეთია: ***მეკარეები*** — სერგეი ოვჩინიკოვი (ლოკომოტივი), რუსლან ნიგმატულინი (ცსკა). ***მცველები*** — სერგეი იგნაშევიჩი (ლოკომოტივი), გენადი ნიჟეგოროდოვი (ლოკომოტივი), ვიაჩესლავ დაევი (ცსკა), დენის ევსიკოვი (ცსკა), იური კოვტუნი (სპარტაკი), ვიქტორ ონოპკო (რაიო, ესპანეთი). ***ნახევარმცველები*** — ალექსეი სმერტინი (ბორდო, საფრანგეთი), იგორ იანოვსკი (ცსკა), როლან გუსევი (ცსკა), ანდრეი სოლომატინი (ცსკა), სერგეი სემაკი (ცსკა), დმიტრი ლოსკოვი (ლოკომოტივი), დმიტრი ხოხლოვი (სოსიედადი, ესპანეთი), ანდრეი კარიაკა (კრილია), ანდრეი არშავინი (ზენიტი), იგორ სემშოვი (ტორპედო), ევგენი ალდონინი (როტორი), დენის ლაკტიონოვი (სუვონი, სამხ. კორეა). ***თავდამსხმელები*** — რუსლან პიმენოვი (ლოკომოტივი), ალექსანდრ კერჟაკოვი (ზენიტი), დენის პოპოვი (ცსკა), ვლადიმირ ბესჩასტნიხი (სპარტაკი).

# ევროპული ლაშქრობის მოლოდინით

## V ტურის ანონსი



საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

შეკვეცილი და დღენაკლული იქნება ეროვნული ჩემპიონატის V ტური. მატჩები სამ დღეზე იყო განაწილებული, მაგრამ გადაწყდა, ხუთი მატჩი პარასკევს გაიმართება. სამი შეხვედრა დასავლეთში ჩატარდება, ბათუმში, ზესტაფონსა და ფოთში, სხვა სამი კი ქართლსა და კახეთში.

გამორჩეული და მართლაც საინტერესო კვირის თბილისური დერბი უნდა ყოფილიყო. ეროვნულზე „დინამოს“ „ლოკომოტივი“ უნდა მიეღო, მაგრამ საპატიო მიზეზით ეს შეხვედრა, ალბათ გადაიდება. მიზეზი კი ის იქნება, რომ გამორიცხული არაა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების წინ სანაკრებო შეკრებაზე ორივე კლუბიდან გამოიძახონ ფეხბურთელები ჩივაძემ და კოპალეიშვილმა. თუმცა მიუხედავად ლიდერთა მატჩის გადატანისა, ტური მაინც საკმაო ინტერესს გამოიწვევს ქომაგებში. ერთობ დასუსტებული და შეჭირვებული ბათუმის „დინამო“ მუდამ ამბიციურ „ვიტ ჯორჯიას“ უმასპინძლებს. ვიტელები ლიდერებს კვალში მისდევენ, ზღვისპირელები კი თანდათან იძირებიან, ოთხი მატჩიდან ვერც ერთი მოიგეს და ახლა შანსი ეძლევათ ნავსი გატეხონ თუ, რა თქმა უნდა, კარნევალეს შეგირდებს აჯობებენ. ქუთაისელები მეზობლებს ესტუმრებიან. აქაც, თითქმის მსგავსი ვითარებაა, შედარებით სუსტი ლიდერს უმასპინძლებს, წინა ტურში ზესტაფონელებმა უშუალო კონკურენტს გასვლაზე სამი ქულა წაართვეს და არც ახლა იტყვიან უარს ქულების შევსებაზე, „ტორპედოს“ კი ჩინებული შანსი ეძლევა სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცეს.

„კოლხეთმა“ და „გორდამ“ არათანაბრად დაიწყეს ჩემპიონატი, ორივე გაჭირვებით აგროვებს ქულებს და სწორედ მათი უშუალო დაპირისპირებისას გაირკვევა თუ რომელი მათგანი გადადგამს ნაბიჯს წინ. ჩემპიონატის ორი დებიუტანტი შინ ითამაშებს. „დილაც“ და „მილანიც“, ჯერჯერობით ძნელად ეგუება ახალ ვითარებას, უმაღლეს ლიგას და თვითდამკვიდრებისთვის მებრძოლი ორივე კლუბისთვის თითოეულ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. გორელები მოცილე „მერანს“, წნორელები კი მომძლავრებულ და დაწყობილ „სიონს“ მასპინძლობენ.

ჯერ მხოლოდ ოთხი ტურია ნათამაშები და ცხრილშიც სიმჭიდროვეა. რომელიმე კლუბი გამარჯვებამ შეიძლება ერთბაშად, გათამაშების ზედა საფეხურზე ასწიოს, დამარცხებამ კი დააქვეითოს და სულაც ძირს დასცეს.

V ტურის შემდეგ ჩამოყალიბებული სატურნირო ვითარება მთელი ათი დღე აღარ შეიცვლება, თითქმის, ორკვირიანი შესვენება კი ნაკრების მატჩებითაა გამოწვეული.

***V ტურში დღეს, 30 აგვისტოს ერთმანეთს შეხვდებიან:***

დინამო (ბთ) — ვიტ ჯორჯია
მეტალურგი — ტორპედო
კოლხეთი 1913 — გორდა
დილა — მერანი
მილანი (წნ) — სიონი

***1 სექტემბერი***

დინამო (თბ) — ლოკომოტივი (გადაიდო)

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დინამო (თბ)** | 4 | 3 | 1 | 0 | 8-1 | 10 |
| **ტორპედო** | 4 | 3 | 1 | 0 | 4-0 | 10 |
| **ლოკომოტ.** | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| **ვიტ ჯორჯია** | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 7 |
| **სიონი** | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| **მეტალურგი** | 4 | 2 | 0 | 2 | 3-6 | 6 |
| **კოლხ. 1913** | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| **გორდა** | 4 | 1 | 0 | 3 | 2-6 | 3 |
| **მერანი** | 4 | 1 | 0 | 3 | 2-7 | 3 |
| **დილა** | 4 | 1 | 0 | 3 | 1-7 | 3 |
| **დინამო (ბთ)** | 4 | 0 | 2 | 2 | 2-4 | 2 |
| **მილანი** | 4 | 0 | 1 | 3 | 0-7 | 1 |

# ხავერდოვანი პირველი ლიგა შეივსო
## პირველ ლიგაში თექვსმეტი გუნდი ითამაშებს

პირველობა 4 სექტემბერს დაიწყება.

გუშინ სფფ-ში თექვსმეტეულის კენჭისყრა მოეწყო, კლუბები დაინომრა და ამის მიხედვით პირველობის კალენდარიც შედგება. აქვე გთავაზობთ პირველი წრის პირველი ტურის წყვილებს.

შპს „ლოკო2“ (თბილისი) — გურია (ლანჩხუთი)
თსუ (თბილისი) — ლაზიკა (ზუგდიდი)
ჭაბუკთა ნაკრები — მერანი 2 — ალაზანი (გურჯაანი)
ცხინვალი — ქობულეთი
ლოკომოტივი (სამტრედია) — მერცხალი (ოზურგეთი)
სამგურალი (წყალტ.) — დინამო2 (თბ)
ივერია (ხაშური) — მცხეთა
კოლხეთი (ხობი) — ლოკომოტივი2 (თბ)

ჩემპიონატი ორ წრედ (შინ და გარეთ) ჩატარდება. ჭაბუკთა ნაკრები უკონკურსოდ ითამაშებს, მისი შედეგები — ქულები, ბურთები ცხრილში შეიტანება, მაგრამ ნაკრების საპრიზო ადგილზე გასვლის შემთხვევაში იგი უმაღლეს ლიგაში ვერ გადავა.

სექტემბერში მატჩები 17 საათზე დაიწყება.

მერანი2 — ალაზანი ითამაშებს გურჯაანში, თსუ და მცხეთა — მცხეთაში, ლოკო2 და ლოკომოტივი2 — თბილისში „ლოკომოტივის“ სათადარიგო მინდორზე.

# ინსპექტორები მერხებთან...

სწავლა სიბერემდეო! ფეხბურთის ყოფილი მსაჯები და ვეტერანები ინსპექტორობას ეშურებიან და გამოცდებსაც გულმოდგინედ აბარებენ. უმაღლესი ლიგის პირველობა უკვე დაიწყო, რამდენიმე დღეში პირველი ლიგაც გაიხსნება და ცოდნის კიდევ ერთხელ შემოწმება მართლაც რომ, დროულია. სფფ-ს საგამოცდო კომისიამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ა. მილჩენკო და მისი მოადგილე შ. ხინჩაგაშვილი, წევრები — ო. გუნთაძე, ი. მჭედლიშვილი და ზ. პეტრიაშვილი, გუშინწინ, ეროვნული ჩემპიონატის მატჩების 17 ინსპექტორს მოუსმინა და საფეხბურთო განსწავლულობა შეუფასა. უმაღლესი ლიგის 12-მა და პირველი ლიგის 5-მა ინსპექტორმა კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მეტნაკლები წარმატებით ჩააბარეს გამოცდები. გამოცდებზე კი დაუშვეს ისინი, ვინც დროულად წარმოადგინა სფფ-ში შესაბამისი საბუთები და საგამოცდო მო-

(იხ. მე-5 გვ.)

# დიდი იყო აჭარის წვლილი ქართულ ფეხბურთში

**ადრე, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა უძლიერესი საფეხბურთო გუნდები თავიანთ სეზონისწინა მომზადებას საქართველოს შავი ზღვისპირეთში გადიოდნენ, სახელდობრ კი, არა მარტო სოხუმის, გუდაუთის, გაგრის, გულრიფშისა და ოჩამჩირის, არამედ, აგრეთვე, ბათუმისა და ქობულეთის სპორტულ ბაზებზე. სწორედ ეს ფაქტი უფრო პოპულარულს და მასობრივს ხდიდა ფეხბურთს ადგილობრივ ახალგაზრდობაში და საერთოდ, ხალხში.**

ზემოთქმულთან დაკავშირებით გვახსენდება გასული საუკუნის ორმოციანი წლების დასასრული, როდესაც ქობულეთს ესტუმრა ვვს-ი, სწორედ ის გუნდი, რომელსაც შეფობას უწევდა მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი ვასილი სტალინი.

იმ დროს მოსკოველ მფრინავთა გუნდში გამოდიოდნენ ისეთი ცნობილი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ — ვ. ბობროვი, ა. აკიმოვი, კ. კრიჟევსკი, ა. პარამონოვი, ვ. მეტელსკი, ა. არხიპოვი, ვ. შუვალოვი და სხვები.

ვვს-მა საკონტროლო მატჩი გამართა ადგილობრივ „შუქურასთან", რომელიც ქობულეთელთა გამარჯვებით — 1-0 დამთავრდა. თამაშის შემდეგ ქობულეთელი გულშემატკივრები ენამოსწრებულად და კვიმატიანად ხუმრობდნენ: „აი, რაა ძამა? ძირითადი შემადგენლობა ჩაშია წასული..."

„პირველი მერცხალი", რომელიც აჭარიდან და სახელდობრ, ბათუმიდან მოვიდა თბილისის „დინამოში", იყო **ბორის ფროლოვი.** 22 წლისა იყო, როდესაც 1937 წელს მისი დებიუტი შედგა „დინამოში", იმ სეზონში მხოლოდ სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა, **მომდევნო, 1938 წელს** კი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში უკვე 18 მატჩი ითამაშა და ერთი გოლი გაიტანა. ბ. ფროლოვი თავიდან ნახევარმცველად თამაშობდა, შემდეგ ცენტრალური მცველის ამპლუაში გამოდიოდა. 1939 წ. საკავშირო ჩემპიონატის ყველა 26 მატჩში მიიღო მონაწილეობა, 1940 წ. კი, 24 მატჩი ჩაატარა.

1941 წ. სეზონის დასაწყისში საკავშირო ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გადაწყვეტილებით პირველად შემოიღეს სპორტის ოსტატის წოდება და ის 50 ფეხბურთელს მიანიჭეს. მათ შორის საქართველოს სხვა ფეხბურთელებთან ერთად ბ. ფროლოვიც იყო.

1945 წ. ბ. ფროლოვმა საკავშირო პირველობაზე 16, ხოლო 1946 წ. მხოლოდ ოთხ მატჩში ითამაშა. საერთოდ, 1937-1946 წ.წ. იგი საკავშირო ჩემპიონატების 91 მატჩში მონაწილეობდა. ბორის ფროლოვის სამახსოვრო




მატჩიდან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია 1939 წლის საკავშირო ჩემპიონატზე მოსკოვის ცდკა-სთან თბილისელთა შეხვედრა.

... თამაშის დაწყებისთანავე არმიელ შჩერბატენკოს ბურთი გააქვს თბილისელთა მეკარე ა. ტყებუჩავას კარში. მალე ბორის პაიჭაძემ გაქვითა ანგარიში. შემდეგ მოსკოველებმა ზედიზედ სამი ბურთი გაიტანეს. პირველი ნახევარი ცდკა-ს გამარჯვებით, 4-1 დამთავრდა.

მეორე ტაიმი თბილისელთა გამუდმებული იერიშებით დაიწყო და სულ მალე მ. ბერძენიშვილმა თავისი ჩვეული ოსტატური დარტყმით თერთმეტმეტრიანი საჯარიმოდან ბურთი შეაგდო არმიელთა კარში — 2-4, შემდეგ ა. ხარბედიას ზედიზედ ორი ბურთი გააქვს და თანაბრდება ანგარიში — 4-4.

ის იყო მატჩი მთავრდებოდა, რომ გაიოზ ჯეჯელავამ ცრუ მოძრაობების ფეიერვერკით მეხუთე, გამარჯვების ბურთი გაიტანა ცდკა-ს კარში. ამ მოგებით


იბრაგიმ სარჯველაძე (მარცხნივ) და ავთანდილ ღოღობერიძე

საკავშირო პირველობაზე მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს და ვერცხლის მედლების მფლობელები თბილისელები გახდნენ, მოსკოველები კი მესამე ადგილს დასჯერდნენ.

1940 წელს ბ. ფროლოვი თანაგუნდელებთან ერთად კვლავ ვერცხლის მედლის მფლობელია. 1944 წელს მონაწილეობდა ირანში თბილისის „დინამოს" მიერ ჩატარებულ საერთაშორისო მატჩებში...

**იბრაგიმ (იბო) სარჯველაძის** დებიუტი თბილისის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში 1946 წელს შედგა. მან იმ წელს სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა. თავდაპირველად გრიშა გაგუას პარტნიორი იყო და ნახევარდაცვაში თამაშობდა, შემდეგში მარცხენა მცველის პოსტზე გადაინაცვლა, თანაც საკმაოდ წარმატებით. 1947 წლიდან ი. სარჯველაძემ მტკიცედ მოიკიდა ფეხი „დინამოში" და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის 24- დან 20 მატჩში მიიღო მონაწილეობა. ი. სარჯველაძის გამოსვლები ქრონოლოგიურად შემდეგნაირად გამოიყურება. 1948 წ. ჩემპიონატის 26-დან 22 მატჩში ითამაშა, 1949 წ. 34-დან — 31-ში, 1950 წ. 36-დან — 33-ში, 1951 წ. 28-დან — 16-ში, 1952 წ. — ტრავმების გამო მხოლოდ 8 მატჩი ითამაშა, 1953 წ. სეზონის დასაწყისშივე მიღებული მძიმე ტრავმის გამო მხოლოდ 4-ჯერ გავიდა სათამაშოდ, 1954 წ. 24-დან 23 მატჩი ჩაატარა; 1955 წელი იბო სარჯველაძის საფეხბურთო კარიერაში უკანასკნელი აღმოჩნდა. იმ წელს მხოლოდ ხუთი მატჩი ითამაშა და, საერთოდ, გამოეთხოვა ფეხბურთს.

იბრაგიმ სარჯველაძემ 1946-1955 წ.წ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების 165 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

1948 წლის სეზონის შედეგების მიხედვით ის „33 საუკეთესოთა" სიაში მესამე ნომრად შეიყვანეს. ორჯერ (1947 და 1950 წ.) იყო ბრინჯაოს მედლის მფლობელი, ხოლო 1951 წ. ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა. ი. სარჯველაძე 1946 წლის საკავშირო თასის გათამაშების ფინალისტია. მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო მატჩებში პოლონეთის, ბულგარეთის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების გუნდებთან...

**ანზორ კავაზაშვილი** 17 წლის იყო, როდესაც პირველად ჩაიცვა თბილისის „დინამოს" მაისური. 1957 წელს პირველად ითამაშა ძირითად შემადგენლობაში. მომდევნო წელს მოედანზე არ გამოჩენილა, ხოლო 1959 წელს საკავშირო ჩემპიონატის 4 მატჩში მიიღო მონაწილეობა. საერთოდ კი, 1957-1959 წ.წ. მხოლოდ ხუთჯერ გამოვიდა თბილისის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში. ეს ის დრო იყო, როდესაც სერგო კოტრიკაძე ბრწყინვალე ფორმაში იყო, მწვრთნელები მას აძლევდნენ უპირატესობას და გუნდის ძირითადი მეკარის ფუნქციებს ის ასრულებდა. ანზორმა მოსკოვს მიაშურა და მალე დაიმკვიდრა ერთ-ერთი უძლიერესი მეკარის სახელი.

1963-1968 წ.წ. ა. კავაზაშვილი მოსკოვის „ტორპედოს" კარის ძირითადი დარაჯია. 1964 წელს — გუნდთან ერთად საკავშირო პირველობის ვერცხლის პრიზიორი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტაშკენტის მატჩში ა. კავაზაშვილს მონაწილეობა არ მიუღია და, საერთოდ, თბილისელთა წინააღმდეგ თამაშს თავს არიდებდა.

1965 წელს ის უკვე „ტორპედოს" შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და ოქროს მედლის, 1968 წელს საკავშირო თასისა და ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელია.

1969 წელს ა. კავაზაშვილი უკვე მოსკოვის „სპარტაკის" ძირითადი მეკარეა, წარმატებით შეცვალა რა ცნობილი ვლადიმერ მასლაჩენკო. სწორედ იმ წელს მისი ზუსტი და თავგანწირული თამაშის შედეგად მოსკოვის „სპარტაკი" ქვეყნის ჩემპიონი გახდა, ხოლო, მომდევნო 1970 წელს მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. განსაკუთრებით უნდა გავიხსენოთ 1971 წელი, როდესაც საკავშირო თასის ფინალურ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ მოსკოვის „სპარტაკი" და როსტოვის სკა. მატჩის დამთავრებას ოცი წამი აკლდა, თამაშ კი როსტოველი არმიელები 2-1 იგებდნენ, მაგრამ სპარტაკელთა მცველმა ლოგოფეტმა მოულოდნელი და უძლიერესი დარტყმით თავისი გუნდი წაგებას გადაარჩინა. ანგარიში გათანაბრდა (2-2). დამატებითმა 30 წუთმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. სპარტაკელთა მეორე მეკარემ ი. ბაუჟამ ეს თამაში ძალზე სუსტად ჩაატარა. რაც შეეხება ა. კავაზაშვილს, ის მანამდე მიღებული მძიმე ტრავმის გამო მატჩში არ მონაწილეობდა.

რამდენიმე დღის შემდეგ განმეორებით შედგა თასის საფინალო მატჩი. მოსკოვის „სპარტაკის" უფროსმა მწვრთნელმა ნიკიტა სიმონიანმა გარისკა და ამ გადამწყვეტ შეხვედრაში ძირითადი მეკარე ანზორ კავაზიშვილი გამოიყვანა, რომელსაც მარცხენა ხელზე თაბაშირის სახვევი ჯერ მოხსნილიც არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ანზორმა ეს მატჩი უშეცდომოდ ჩაატარა. „სპარტაკმა" 1-0 გაიმარჯვა და პრესტიჟულ თასს დაეუფლა.

ანზორ კავაზაშვილი 1966 წელს ინგლისში ჩატარებული მსოფლიო VIII ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მონაწილეა. მან განსაკუთრებით ძლიერად და კარგად ჩაატარა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩილეს ნაკრებ გუნდებთან გამართული მატჩები, რომლებიც საბჭოთა ნაკრებმა მოიგო შესაბამისად 3-0 და 2-1. საბოლოოდ, მსოფლიო პირველობაზე საბჭოთა ნაკრები საპატიო მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა, მოთამაშეები კი ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ, რომელთა შორის იყვნენ ქართველი ფეხბურთელები — ა. კავაზაშვილი, მ. ხურცილავა, გ. სიჭინავა და ს. მეტრეველი. ეს იყო საბჭოთა ნაკრების პირველი და უკანასკნელი წარმატება მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში.

ა. კავაზაშვილს საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში მრავალი მატჩი აქვს




ნათამაშები სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებების და საკლუბო გუნდების წინააღმდეგ, როგორც ოფიციალური, ისე საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების დონეზე.

ფეხბურთის სპეციალისტთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, ანზორ კავაზაშვილი იყო ერთ-ერთი თავგანწირული, საიმედო და უძლიერესი მეკარე საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში...

**ვახტანგ ქორიძე** თბილისის „დინამოში" პირველად 1969 წელს გამოჩნდა, მაშინ ის 20 წლის იყო. მან ჯერ ორი სეზონი (1969-1970 წ.წ.) ითამაშა, შემდეგ — ექვსი (1975-1980 წ.წ.). გამოდიოდა „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში. ამ ხნის განმავლობაში საკავშირო ჩემპიონატის გათამაშების 144 მატჩში მიიღო მონაწილეობა და მეტოქეთა კარი 22-ჯერ დალაშქრა წარმატებით. საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების 26 შეხვედრაში გატანილი აქვს 8 გოლი. მონაწილეობდა 42 საერთაშორისო მატჩში, მათ შორის, 16-ჯერ ითამაშა ევროთასების გათამაშებაში.

**ვ. ქორიძე** 1978 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და ოქროს მედლის მფლობელია. 1977 წელს ის საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა.

გადაეცა ორი ბრინჯაოს მედალი (1976 წლის საგაზაფხულო პირველობისა და 1976 წლის საშემოდგომო პირველობა).

ვ. ქორიძე გუნდთან ერთად საკავშირო თასის ორგზის გამარჯვებულია — 1976 და 1979 წ.წ. ორი შეხვედრა ჩაატარა 1980 წელს საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში, ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირზე.

ვ. ქორიძე თბილისის „დინამოს" ერთ-ერთი უძლიერესი ნახევარმცველი იყო. სათამაშო მინდორზე გამოირჩეოდა და მოქმედების ფართო დიაპაზონით, გამძლეობით და დიდი შრომისუნარი-


1979 წ., 3.X, თბილისის „დინამო" „ლივერპული", პირველი გოლის შემდეგ. მარცხნიდან: შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, ვახტანგ ქორიძე, ერთმანეთს ეხვევიან დავით ყიფიანი (№10) და ვლადიმერ გუცაევი

ანობით, წარმატებით თამაშობდა როგორც დაცვაში, ასევე თავდასხმაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შორეული „ყუმბარისებური" და „დაყენებული" დარტყმები, რომელთა შედეგად ხშირად შეურხევია მეტოქეთა კარის ბადე.

**რევაზ ჩელებაძე** ფეხბურთის თამაშით 17 წლის ასაკში დაინტერესდა, მანამდე კალათბურთს თამაშობდა. სხვათა შორის, ფეხბურთის თამაში ქობულეთში დაიწყო და გამოდიოდა ადგილობრივ „შუქურაში" 1973-1974 წლებში. შემდეგ წლებში თამაშობდა ბათუმის „დინამოში" და ლანჩხუთის „გურიაში".

**რ. ჩელებაძის** დებიუტი თბილისის „დინამოში" 1976 წელს შედგა და მერე მთელი 7 სეზონი ითამაშა. 1976-1982 წ.წ. მონაწილეობდა საკავშირო ჩემპიონატის 159 მატჩში და 52 გოლი გაიტანა. საკავშირო თასზე 25 მატჩი ითამაშა და 12 გოლი შეაგდო. მონაწილეობდა 47 საერთაშორისო შეხვედრაში და 23-ჯერ აიღო მეტოქის კარი, მათ შორის, ევროთასების გათამაშების 14 მატჩში გაიტანა 3 გოლი.

რ. ჩელებაძე 1978 წლის ჩემპიონია




და დაჯილდოებულია ოქროს მედლით. 1977 წელს ვერცხლის, ხოლო 1976 წელს საგაზაფხულო და საშემოდგომო პირველობების შედეგად ბრინჯაოს ორი მედალი გადაეცა.

1977-1980 წ.წ. საბჭოთა კავშირის ნაკრებში 7 მატჩი ითამაშა. 1977 წლის საკავშირო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მოხვდა „33 საუკეთესო" ფეხბურთელის სიაში (№2).

რ. ჩელებაძე, იგივე „ჩელე" გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით და გოლის გატანის დაუოკებელი წყურვილით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რ. ჩელებაძე ღირსეულ პარტნიორობას უწევდა ფეხბურთის ისეთ დიდოსტატებს, როგორებიც იყვნენ დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია, ვლადიმერ გუცაევი...

დასასრულ, სულ ახლახან გამართულ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე კვლავ ოთხი წლით ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს მერაბ ჟორდანია.

ვიმედოვნებთ, რომ ფეხბურთის ფედერაცია და მისი პრეზიდენტი განსაკუთრებული მონდომებით გააგრძელებენ მიზანდასახულ და კონკრეტულ საქმიანობას ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებისა და მისი დონის ამაღლებისათვის. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭირო და აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს რეგიონებში ნორჩ და ჭაბუკ ფეხბურთელთა მომზადებას, მათ დაოსტატებას მაღალ კონდიციამდე. უნდა გააქტიურდეს სელექციური საქმიანობა ნიჭით მომადლებული ფეხბურთელების აღმოსაჩენად. რეგიონების ფეხბურთის მესვეურთა მთავარი და ძირითადი საზრუნავი უნდა იყოს საქართველოს საკლუბო გუნდების და ეროვნული ნაკრების უკვე ჩამოყალიბებული, მაღალი კლასისა და პროფესიონალი ფეხბურთელებით შევსება-დაკომპლექტება.

იმისათვის, რომ ყოველივე ზემოთქმული დადებითად გადაწყდეს და ეკონომიკურ-ფინანსური პრობლემებით დაბრკოლებები არ იყოს, საჭირო იქნება მოვიზიდოთ სპონსორები. ასე იყო მუდამ და ასეა ახლაც ევროპისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, სადაც ფეხბურთის ინდუსტრია მაღალ დონეზეა და სასურველ შედეგებსაც იმკიან.

**გურამ ჩხიკვაძე**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ჩემპიონთა ლიგა
## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი, საპასუხო მატჩები

**ლიბერეცი (ჩეხეთი) – მილანი (იტალია) 2-1 (0-1)**
0-1 ინძაგი (20), 1-1 სლეპიჩკა (46), 2-1 ლანგერი (88)
*მილანი:* დიდა, შიმიჩი,ლაურსენი, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო (დალა ბონა 83), ზეედორფი, რუი კოშტა (რივალდო 70), ინძაგი, ტომასონი (ამბროზინი, 60)
*მწვრთნელი:* კარლო ანჩელოტი
*გააძევეს:* ლანგერი (90, ლიბერეცი).
*მსაჯი:* არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი).
8740 მაყურებელი.

**შტურმი (ავსტრია) – მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 3-3 (0-2)**
1-0 ბოსნარი (11), 1-1 როსო (26), 2-1 საბიჩი (57), 3-1 ნოიკირხნერი (73), 3-2 კეისი (77), 3-3 ბადირი (90).
*შტურმი:* ვებერი, ნოიკირხნერი, როხასი (ვეტლი, 46), მაელიხი (პელდტი 60), შტრაფნერი, ანგანი, მასუდი, საბიჩი, ბოსნარი, დაგი, ამოა (პრეგელი 46).
დავით მუჯირი სათადარიგო იყო.
*მწვრთნელი:* ივიცა ოსიმი
*გააძევეს:* აიეგბენი (68, მაკაბი), ბოსნარი (80 შტურმი).
*მსაჯი:* ალან ჰამერი (ლუქსემბურგი).

8000 მაყურებელი.

**აეკ (საბერძნეთი) – აპოელი (კვიპროსი) 1-0 (3-2)**
1-0 მ. რაიტი (58).

**ბრიუგე (ბელგია) – შახტარი (უკრაინა) 1-1 დ.დ. (პენ. 4-1, 1-1).**
0-1 ვორობეი (13), 1-1 ნ. ჩეპი (75).

**დინამო (უკრაინა) – ლევსკი (ბულგარეთი) 1-0 (1-0).**
1-0 ჩერნატი (41).

**ნიუკასლი (ინგლისი) – ჟელეზნიჩარი (ბოსნია) 4-0 (1-0)**
1-0 დაიერი (23), 2-0 ლუა ლუა (37), 3-0 ვიანა (74), 4-0 შირერი (80).
*გააძევეს:* ჯაჰიჩი (70 ჟელეზნიჩარი).

**ლოკომოტივი (რუსეთი) – ბრაცერი (ავსტრია) 3-3 (2-0)**
1-0 იგნაშევიჩი (6), 2-0 ევსეევი (32), 2-1 ნაუმოსკი (37), 3-1 ჰარტმანი (45 ს.კ.), 3-2 ბაზიმა (48), 3-3 აუფჰაუზერი (63).

**ბრონდბიუ (დანია) – რუსენბორგი (ნორვეგია) 2-3 (0-1).**
0-1, 0-2 ფ. იონსენი (29,62), 0-3 ბრატბაკი (78), 1-3 მ. იონსონი (80), 2-3 მადს იორგენსენი (83).

**ბაზელი (შვეიცარია) – სელტიკი (შოტლანდია) 2-0 (1-3)**
1-0 ხიმენესი (8), 2-0 მ. იაკინი (22).

**ლეგია (პოლონეთი) – ბარსელონა (ესპანეთი) 0-1 (0-3)**
0-1 მენდიეტა (68 პ).

**ოსერი (საფრანგეთი) – ბოავიშტა (პორტუგალია) 0-0 (1-0).**

**ფენერბახჩე (თურქეთი) – ფეიენოორდი (ჰოლანდია) 0-2 (0-1)**
0-1 ონო (48), 0-2 ბუფელი (89).

**სპარტა (ჩეხეთი) – გენკი (ბელგია) 4-2 (0-2)**
0-1 დაგანო (25), 1-1 პობორსკი (56), 1-2 სონკი (57), 2-2, 3-2 იაროშიკი (59,64), 4-2 მარეში (84).

**ბაიერნი (გერმანია) – პარტიზანი (იუგოსლავია) 3-1 (3-0)**
1-0 ბალაკი (26), 2-0 ელბერი (71), 2-1 ჩაკარი (72), 3-1 სალიჰამიჯიჩი (74 პ).

**ინტერი (იტალია) – სპორტინგი (პორტუგალია) 2-0 (0-0)**
1-0 დი ბიაჯო (32), 2-0 რეკობა (44).

**მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) – ზალაეგერსეგი (უნგრეთი) 5-0 (0-1)**
1-0 ვან ნისტელროი (6), 2-0 ბექჰემი (15), 3-0 სქოულზი (21), 4-0 ვან ნისტელროი (76 პ), 5-0 სოლსკიაერი (84).
*გააძევეს:* ილიჩი (74, ზალაეგერსეგი).

## ზაგალო ბრაზილიის ნაკრებს თებერვლამდე უხელმძღვანელებს




ბრაზილიის ნაკრებს დროებით მარიო ზაგალო უთავკაცებს — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ მას შემდეგ, რაც გუნდი დატოვა ფელიპე სკოლარიმ.

ბრაზილიელთა ახალი მთავარი მწვრთნელი მომავალი წლის თებერვალში გახდება ცნობილი.

საინტერესოა, რომ ზაგალოს მონაწილეობა აქვს მიღებული ოთხ ჩემპიონატში ხუთიდან, როცა ბრაზილიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა. მათ შორის ორ შემთხვევაში ზაგალო ფეხბურთელი იყო, ერთხელ — მწვრთნელი, ხოლო ორჯერ — გუნდის ტექნიკური დირექტორი.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ბრაზილიის ახალი მთავარი მწვრთნელის პოსტზე რეალური კანდიდატები აგრეთვე არიან: ვანდერლეი ლუქსემბურგო, კარლოს ალბერტო პერეირა და ოსვალდო დე ოლივეირა.

სხვათა შორის, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია განიხილავდა საკითხს, დროებით მთავარი მწვრთნელის პოსტზე „ფეხბურთის მეფის" პელეს დანიშვნის თაობაზე, თუმცა, საბოლოო არჩევანი ზაგალოზე შეაჩერეს. არ არის გამორიცხული, რომ მისი საკითხი თებერვლისთვის გადადონ.




## ვალდერამას იუბილეს პელე და მარადონა დაესწრებიან

**როგორც ცნობილი გახდა, მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები პელე და დიეგო მარადონა დაესწრებიან შოუს, რომელიც ეძღვნება კოლუმბიელი ფეხბურთის ბრწყინვალე წარმომადგენლის კარლოს ვალდერამას ორმოცწლოვან იუბილეს, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბერში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ვალდერამამ 110-ჯერ დაიცვა კოლუმბიის ნაკრების ღირსება და 12 გოლი გაიტანა. იყო სამი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე.**

## კოსტაკურტა „მილანში" ბრუნდება

იტალიის საფეხბურთო კლუბ „მილანის" ხელმძღვანელობამ გასული სეზონის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ აღარ გააგრძელებდა კონტრაქტს კოსტაკურტასთან, რომელიც ამ გუნდის ღირსებას 18 სეზონის განმავლობაში იცავდა.

ჩემპიონთა ლიგის სასტარტო შეხვედრების შემდეგ კი, „მილანის" ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ კოსტაკურტასთან განშორება ნაადრევია და ახალი კონტრაქტი გააფორმა, მით უმეტეს, რომ კახი კალაძის გუნდმა ვერ შეძლო „ლაციოს" მცველის ალესანდრო ნესტას ყიდვა. კოსტაკურტა ახალი კონტრაქტის თანახმად 2 750 000 დოლარს მიიღებს ყოველწლიურად.




## თარიღი
# რუუდ გულიტი

**1 სექტემბერს ჰოლანდიური ფეხბურთის 80-იანი წლების ვარსკვლავს რუუდ გულიტს დაბადებიდან 40 წელი უსრულდება.**

გულიტი წარმატებით იცავდა „ჰაარლემის", „ფეიენოორდის", „ეინდჰოვენის", იტალიური „მილანის" და „სამპდორიას", აგრეთვე ინგლისური „ჩელსის" ღირსებებს. იყო ჰოლანდიისა და იტალიის სამგზის ჩემპიონი, ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი. 1987 წელს რუუდ გულიტი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად სცნეს.




გულიტმა ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში 65 მატჩი ჩაატარა და 17 გოლი გაიტანა. მონაწილეობდა მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატში. ნაკრებთან ერთად, გულიტი 1988 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა.

ამ ჰოლანდიელ ფეხბურთელს ზედმეტსახელად „შავ ტიტას" ეძახდნენ. ის ტანმაღალი ფეხბურთელი იყო, გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი პლასტიკური მოძრაობით, ტექნიკურად მაღალ დონეზე თამაშობდა.

გულიტმა ფეხბურთი მცველის როლში დაიწყო, თუმცა თავი ლაღად იგრძნო თავდამსხმელის ამპლუაში, რაშიც ხელს უწყობდა დიდი სისწრაფეც. ზუსტი გადაცემებით ამარაგებდა პარტნიორებს და მაყურებელს მუდამ აღაფრთოვანებდა საუცხოო დრიბლინგით. მისი საუკეთესო პარტნიორი იყო სახელგანთქმული ფორვარდი მარკო ვან ბასტენი, რომელიც მეგობრის პასებს ხშირად მიუჩენდა ხოლმე ადგილს მეტოქის კარში.

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, გულიტი ჯერ „ჩელსის" მწვრთნელად მუშაობდა, შემდეგ „ნიუკასლს" თავკაცობდა. ეს უკანასკნელი ამ ცოტა ხნის წინ მიატოვა და ჯერჯერობით არ არის ცნობილი, სად გააგრძელებს მოღვაწეობას ევრო-88-ის ერთ-ერთი გმირი.

## „მანჩესტერ იუნაიტედმა" მესამე გოლკიპერი იყიდა

**ინგლისური საფეხბურთო კლუბის „მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობა ხვალ გააფორმებს კონტრაქტს ესპანელ გოლკიპერთან რიკარდო ლოპესთან. ეს იქნება რიგით მესამე გოლკიპერი გუნდისთვის ფაბიენ ბარტეზისა (რომელიც ამჟამად ტრავმის გამო ვერ თამაშობს) და როი კეროლის შემდეგ.**

## უეფას თასი
## საკვალიფიკაციო ეტაპი, განმეორებითი მატჩები

**პოლონია (პოლონეთი) — სლემა (მალტა) 2-0 (პირველი მატჩის შედეგი 3-1)**
**პუხოვი (სლოვაკეთი) — ატირაი (ყაზახეთი) 2-0 (0-0)**
**ზვარტნოცი (სომხეთი) — პრიმორიე (სლოვენია) 2-0 (1-6)**
**ნოვა გორიცა (სლოვენია) — რაპიდი (რუმინეთი) 1-3 (0-2)**
**ატლანტასი (ლიტვა) — ლიტექსი (ბულგარეთი) 1-3 (0-5)**
**სარტიდი (იუგოსლავია) — ბანგორი (უელსი) 2-0 (0-1)**
**ზენიტი (რუსეთი) — ენკამპი (ანდორა) 8-0 (5-0)**
**ჟიჟკოვი (ჩეხეთი) — დომაგნანო (სან-მარინო) 3-0 (2-0)**
**ჰიკ (ფინეთი) — გომელი (ბელარუსი) 0-4 (0-1)**
**კარნტენი (ავსტრია) — ლიეპაია (ლატვია) 4-2 (2-0)**
**მაკაბი (თელ-ავივი, ისრ.) — ლევადია (ესტონეთი) 2-0 (2-0)**
**ნისტრუ (მოლდოვა) — აბერდინი (შოტლანდია) 0-0 (0-1)**
**ტვმკ (ტალინი) — დინამო (თბილისი) 0-1 (1-4)**
გოლი: 0-1 ახალაია (74).
**ვისლა (პოლონეთი) — გლენტორანი (ჩრდ. ირლ.) 4-0 (2-0).**

## ინსპექტორები მერხებთან...

*(მესამე გვერდიდან)*

თხოვნებს სრულად აკმაყოფილებდა (მოთხოვნების ნუსხა გაზეთში ადრე გამოვაქვეყნეთ).

გამოცდები ჩააბარეს აჭარისა და აფხაზეთის რეგიონების წარმომადგენლებმა. რატომღაც არავინ გამოცხადდა თბილისის ფეხბურთის ფედერაციიდან და იმერეთის რეგიონიდან. ზოგიერთ „აბიტურიენტს" დამატებითი შეკითხვებიც დაუსვეს. დღეს გამოცდების სარეზერვო დღეა.

ინსპექტორობის პრეტენდენტები ბილეთების შეკითხვებზე იძლეოდნენ ზეპირ პასუხს და, ამასთან, მოეთხოვებოდათ მატჩის შემდგომი პატაკის შევსების წესისა და მატჩის არბიტრის მოქმედების სწორი შეფასების ცოდნა. გამოცდებს საფუძვლად დაედო ფიფა — უეფას ინსტრუქციების, სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის მიერ ახლახან გამოცემულ წიგნში ასახული სიახლეების და ინსპექტორის კოდექსის მოთხოვნები.

## ირლანდიის ნაკრების შემადგენლობა ცნობილია

ირლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მაიკლ მაკარტიმ დაასახელა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩისთვის (რუსეთის გუნდთან) მოემზადებიან:

***მეკარეები:*** შეი გივენი („ნიუკასლი", ინგლისი), დინ კილი („ჩარლტონი", ინგლისი), ნიკ კოლგანი („ჰიბერნიანი").

***მცველები:*** იენ ჰარტი, გარი კელი (ორივე — „ლიდსი" ინგლისი), გარი ბრინი („ვესტ ჰემი", ინგლისი), კენ კენინგემი („ბირმინგემი", ინგლისი), სტივ ფინანი („ფულჰემი", ინგლისი), ჯონ ო'ში („მანჩესტერ იუნაიტედი", ინგლისი), ფილ ბები („სანდერლენდი", ინგლისი).

***ნახევარმცველები:*** ჯეისონ მაკეიტირი, კევინ კილბეინი (ორივე — „სანდერლენდი", ინგლისი), მეტ ჰოლანდი („იფსვიჩი", ინგლისი), კოლინ ჰილი („სელტიკი"), მარკ კინსელა („ჩარლტონი", ინგლისი), ლი კარლსლი („ევერტონი"), როლი დილეპი („საუთჰემპტონი", ინგლისი), სტეფენ მაკფეილი („ლიდსი", ინგლისი).

***თავდამსხმელები:*** რობი კინი („ლიდსი"), კლინტონ მორისონი („ბირმინგემი", ინგლისი), დენმენ დაფი („ბლექბერნი", ინგლისი), გარი დოერტი („ტოტენჰემი", ინგლისი).

## ვიქტორ ონოპკო: „ჩემი ჩამოწერა ჯერ ადრეა"

როცა ვალერი გაზაევმა რუსეთის ნაკრების ახალი, მისეული 59-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, იქ არ აღმოჩნდა ვიქტორ ონოპკო, რომელიც 7 წლის განმავლობაში კაპიტნობდა გუნდს, კაცი, რომელსაც რუსეთის მთავარ გუნდში 100 მატჩი ჰქონდა ჩატარებული. გუშინწინ კი გაზაევმა, ყველასათვის მოულოდნელად, კვლავ დააბრუნა ნაკრებში ონოპკო. გთავაზობთ ნაწყვეტს ვიქტორ ონოპკოს მიერ „ექსპრეს გაზეტასათვის" მიცემული ინტერვიუდან.




— მე არასოდეს მითქვამს უარი რუსეთის ნაკრებში თამაშზე. როცა გაზაევმა ახალი გუნდის ჩამოყალიბებაზე განცხადება გააკეთა, მაინც ვიმედოვნებდი, რომ გუნდში მოვხვდებოდი, — თქვა ესპანური „ოვიედოს" რუსმა ლეგიონერმა.

● ***გასაგებია, მსოფლიო ჩემპიონატზე განცდილი ფიასკოს შემდეგ არ გსურთ წასვლა ნაკრებიდან დამარცხებულის როლში...***

— მართალს ბრძანებთ. უკეთესად უნდა გვეთამაშა მსოფლიო ჩემპიონატზე, ბელგიელებთან ბურთის გატანა ვერ შევძელით, ეს დიდი იმედგაცრუება იყო.

● ***სად გაატარეთ შვებულება?***

— ესპანეთში. თავდაპირველად მშობლიურ უკრაინაში მინდოდა გამგზავრება, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მეუღლემ „გადამიბირა" და ესპანეთისკენ ავიღე კურსი, სადაც შვილები გველოდებოდნენ.

● ***გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს „ოვიედოს" დატოვებას აპირებდით, თან „დეპორტივო" გეპატიჟებოდათ...***

— „ოვიედოს" ხელმძღვანელობამ ბოლო მომენტში იმხელა ფასი „დამადო", რომ ყველა შესაძლო მყიდველი დააფრთხო.

● ***თქვენი აზრით, როგორ იასპარეზებს რუსეთის ნაკრები ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე?***

— მე მგონია, რომ ფინალურ ეტაპზე აუცილებლად გავალთ.

## ინტერტოტოს თასი

**ფინალი. საპასუხო მატჩები**
**შტუტგარტი (გერმანია)** — ლილი (საფრანგეთი) 2-0 (0-1)
**ფულემი (ინგლისი)** — ბოლონია (იტალია) 3-1 (2-2)
**მალაგა (ესპანეთი)** — ვილიარეალი (ესპანეთი) 1-1 (1-0)
„შტუტგარტი", „ფულემი" და „მალაგა" უეფას თასის გათამაშების ძირითად ტურნირში ჩაებმებიან.

# ვინ აჯობებს ამერიკელებს?


აშშ-ს ნაკრები, როგორც ყოველთვის, ახლაც უდავო ფავორიტია

წუხელ ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ინდიანაპოლისში დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც პლანეტის 16 რჩეული ნაკრები იბრძოლებს პირველობისათვის. გუნდები ოთხ ჯგუფშია განაწილებული. დებულებით, მეორე ჯგუფურ ეტაპზე გავა ქვეჯგუფებში I — III ადგილებზე გასული გუნდები. ეს თორმეტი გუნდი შექმნის ორ ჯგუფს და მეოთხედფინალის რვა (თითო ჯგუფში ოთხი საგზური განაწილდება) საგზურისთვის იბრძოლებენ. მსოფლიო ჩემპიონის ვინაობა 8 სექტემბერს გახდება ცნობილი.

ახლა ორიოდე სიტყვა მონაწილეებზე.

**„ა“ ჯგუფში (იუგოსლავია, ესპანეთი, კანადა, ანგოლა)** ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი, რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონი იუგოსლავიის ნაკრებია, რომელმაც წინა ჩემპიონატზე კარგად ისარგებლა იმით, რომ ამერიკელთა გუნდში ნბა-ს ვარსკვლავები არ თამაშობდნენ. იუგოსლაველთა უმთავრესი კონკურენტი ჯგუფში ესპანეთის ნაკრებია. მას შემდეგ, რაც კანადის ნაკრებმა ოთხი ვარსკვლავი — ნეში, მალუა, ფოქსი და მაკალოფი მოისაკლისა, ამ გუნდის შესაძლებლობებიც რამდენადმე შემცირდა. ძნელია იმის თქმა, რომ ანგოლელები შეძლებენ რაიმე სიურპრიზის შემოთავაზებას.

**„ბ“ ჯგუფში (ბრაზილია, ლიბანი, პუერტო-რიკო, თურქეთი)** მოხვედრილ ბრაზილიელებს, მართალია, აღარ ჰყავთ ლეგენდარული კალათბურთელი ოსკარ შმიდტი, მაგრამ არა გვგონია, ჯგუფიდან გასვლა გაუჭირდეს. ასევე შემდგომ ეტაპზე მოხვედრის შანსი აქვთ პუერტორიკოელებს და თურქებს, ხოლო ლიბანის ნაკრები აშკარად აუტსაიდერია, მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდს ნბა-ში ოდესღაც ცნობილი რონი საიკლი თავკაცობს.

**„ც“ ჯგუფში (აშშ, ალჟირი, ჩინეთი, გერმანია)** ჩემპიონატის აშკარა ფავორიტი აშშ-ს ნაკრებია, რომელიც ამჯერად ნბა-ს ვარსკვლავებით არის დაკომპლექტებული. დიდი ამბიციები აქვთ ჩინელებს, რომელთაც ჰყავთ ნბა-ს წლევანდელი დრაფტის გმირი 226 სანტიმეტრიანი იაო მინგი. თუმცა, ნაკრებში ვერ ითამაშებს ჩინეთის ბოლო დროის საუკეთესო კალათბურთელი, 216 სანტიმეტრი სიმაღლის მქონე ვანგ ჟიჟი.

გერმანიის ნაკრებსაც კარგი შემადგენლობა ჰყავს. ხოლო, რაც შეეხება ალჟირელებს, მათთვის ერთი გამარჯვების მოპოვებაც დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

**„დ“ ჯგუფში (არგენტინა, რუსეთი, ახალი ზელანდია, ვენესუელა)** ფავორიტად მიიჩნევენ რუსეთის ნაკრებს, რომლის შემადგენლობაში ასპარეზობს „იუტა ჯაზის“ ფორვარდი ანდრეი კირილენკო. რუსეთელების მთავარი კონკურენტი არგენტინის ნაკრებია, ხოლო მესამე საგზურისთვის იბრძოლებენ ვენესუელისა და ახალი ზელანდიის გუნდები.

## და ბოლოს. გთავაზობთ შეჯიბრების კალენდარს.

*პირველი ჯგუფური ეტაპი*

*29 აგვისტო*
ბრაზილია — ლიბანი
იუგოსლავია — ანგოლა
პუერტო რიკო — თურქეთი
კანადა — ესპანეთი
ჩინეთი — გერმანია
ახალი ზელანდია — რუსეთი
აშშ — ალჟირი
არგენტინა — ვენესუელა

*30 აგვისტო*
ანგოლა — კანადა
ლიბანი — პუერტო რიკო
ესპანეთი — იუგოსლავია
თურქეთი — ბრაზილია
ვენესუელა — ახალი ზელანდია
არგენტინა — რუსეთი
გერმანია — აშშ
ალჟირი — ჩინეთი

*31 აგვისტო*
ანგოლა — ესპანეთი
კანადა — იუგოსლავია
ლიბანი — თურქეთი
ვენესუელა — რუსეთი
გერმანია — ალჟირი
ახალი ზელანდია — არგენტინა
აშშ — ჩინეთი
პუერტო რიკო — ბრაზილია

*2-4 სექტემბერი*
მეორე ჯგუფური ეტაპი

*5 სექტემბერი*
მეოთხედფინალი

*7 სექტემბერი*
ნახევარფინალი

*8 სექტემბერი*
ფინალი.
მატჩი მესამე ადგილისათვის.

# ტომი ჰაასის გმირობა


ჰაასი

აშშ-ს ღია პირველობაზე გერმანელმა ჩოგბურთელმა ვაჟმა ტომი ჰაასმა დრამატული მატჩი მოუგო ესპანელ დევიდ სანჩესს. მიუხედავად იმისა, რომ თამაშის მიმდინარეობისას ერთ სეტში ის 0:3-ს აგებდა. თანმიმდევრობით მივყვეთ: პირველი სეტი ჰაასმა 7:6 მოიგო, მომდევნო ორი სეტი ერთნაირი ანგარიშით 6:3, 6:3 ესპანელი ჩოგბურთელის სასარგებლოდ დასრულდა. ჰაასმა მეოთხე სეტში გამარჯვებაც მოახერხა — 6:4. ყველაფერი ბოლო, მეხუთე სეტში უნდა გარკვეულიყო. თავიდან ესპანელი აქტიურობდა. და 3:0 დაწინაურდა კიდეც, მაგრამ გერმანელმა ტრადიციული თვისება გამოამჟღავნა — ბოლომდე შეუპოვრად იბრძოლა და სასურველსაც მიაღწია — 7:5.

სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია პიტ სამპრასის დამაჯერებელი გამარჯვება ესპანელ ალბერტო პორტოსოსთან — 6:1, 6:4, 6:4.

მეთექვსმეტე ნომრად განთესილი არგენტინელი დავიდ ნალბანდიანი თავის ისტორიულ სამშობლოს წარმომადგენელთან სარგის სარგსიანთან დამარცხდა — 1:6, 4:6, 4:6.

*სხვა შეხვედრები:* გ. რუსედსკი — ა. კიმი 6:1, 4:6, 7:6, 6:3; პ. სრიჩაპანი — პ. ამრიტრაჯი 6:1, 6:3, 6:0; ფ. გონსალესი — პ მატიეუ 2:6, 7:6, 3:6, 6:4, 6:4. ტ. ჰენმანი — ტ. კეტოლა 6:1, 6:1, 6:1.

***ქალთა შორის*** შეჯიბრების მეორე წრე წარმატებით გაიარა სერენა უილიამსმა, რომელმაც 6:0, 6:1 მოუგო დინარა საფინას. რუსი ელენა დემენტიევა მოულოდნელად დამარცხდა იტალიელ ფრანჩესკა სკიავონესთან — 6:7, 3:6.

*სხვა შეხვედრები:* ივა მაიოლი (ხორვატია) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:4, 6:4. სტეფანი ფორეტცი (საფრანგეთი) — ანჟელიკა ვიჯაჯა (ინდონეზია) 7:5, 6:1; სილვია ფარინა (იტალია) — ელს კალენსი (ბელგია) 6:2, 6:2; ბია ბილეკი (აშშ) — ტამასინ ტანსუგარნი (ტაილანდი) — 6:4, 6:2.

## ჰოკეის ვარსკვლავი საშუალო სკოლას ამთავრებს

**30 წლის ჰოკეისტმა იარომირ იაგრმა დროებით დაივიწყა სპორტი და ახლა მთელ ყურადღებას სწავლაზე გაამახვილებს. უახლოეს ხანში მას ელის... საშუალო სკოლის გამოსაშვები გამოცდები, რომლისთვისაც მზადება ოლიმპიურმა ჩემპიონმა და სტენლის თასის ორგზის მფლობელმა უკვე დაიწყო.**

**„მე სკოლა მივატოვე 15 წლის ასაკში და ყველაფერი სპორტს შევწირე. ახლა შევიგნე, რომ სწავლაც საჭიროა“, — განაცხადა ნჰლ-ის საუკეთესო სნაიპერმა.**

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




30 აგვისტო, პარასკევი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. უეფას თასი. საკვალიფიკაციო ტურნირის საპასუხო მატჩი: ტალინის „ტულევიკი“ — თბილისის „დინამო“ (19.00, მატჩის ფრაგმენტები). *რუსთავი-2.* უეფას სუპერთასი: „რეალი“ — „ფეიენოორდი“ (23.45). *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 22.40). *НТВ плюс футбол.* კალათბურთი. ვაჟები. მსოფლიო ჩემპიონატი (13.20, 14.50, 16.50, 18.35, 20.25), ესპანეთის ნაკრები — იუგოსლავიის ნაკრები (23.25), რუსეთის ნაკრები — არგენტინის ნაკრები (3.25). ფეხბურთი: „ფუტბოლ მუნდიალი“ (16.20), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (22.25), ჩემპიონთა ლიგა. მე-3 საკვალიფიკაციო რაუნდი (1.45). *НТВ плюс спорт.* ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (11.45, 1.45), ფრენბურთი: მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. იტალიის ნაკრები — იაპონიის ნაკრები (14.55), ქალები. პოლონეთის ნაკრები — ბრაზილიის ნაკრები (16.55), ქალები. რუსეთის ნაკრები — დომინიკანის ნაკრები (21.55). მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება (23.00). *EUROSPORT.* ნიჩბოსნობა. კანოე. მსოფლიო ჩემპიონატი. სპრინტი (12.00), სლალომი (15.30), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრის მიმოხილვა (16.30), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრა (17.00), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (17.45, 20.00, 2.15).

31 აგვისტო. შაბათი

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (23.40). *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (20.00), *РТР.* „ფორმულა-1“. გრან-პრი. კვალიფიკაცია (2.00), *НТВ плюс футбол.* კალათბურთი: მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები (14.45, 16.15, 2.05), კანადის ნაკრები — იუგოსლავიის ნაკრები (20.55), ახალი ზელანდიის ნაკრები — არგენტინის ნაკრები (3.25), ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (18.00), იტალიის ჩემპიონატი. გავლილი სეზონი (19.20), „ფუტბოლ მუნდიალი“ (23.30), ესპანეთის ჩემპიონატი (23.55), *НТВ плюс спорт.* ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (11.45, 23.25), ფრენბურთი: მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ბრაზილიის ნაკრები — ჩინეთის ნაკრები (17.25). აშშ-ის ნაკრები — რუსეთის ნაკრები (20.25). კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. ვენესუელის ნაკრები — რუსეთის ნაკრები (23.25). *EUROSPORT.* ნიჩბოსნობა. კანოე.. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 12.00, 14.30). კლდიდან წყალში ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი (16.30), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა (17.00, 19.00, 20.00, 2.15).

1 სექტემბერი, კვირა

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (23.30). *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (11.20), მსოფლიო ფეხბურთი (19.30). *НТВ плюс футбол.* კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (13.15, 14.45, 16.15, ვაჟები), ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. „ჩელსი“ — „არსენალი“ (20.00), იტალიის ჩემპიონატი (21.50, 23.30) — პირდაპირი რეპორტაჟი (23.30). ესპანეთის ჩემპიონატი (1.35). *НТВ плюс спорт.* ჩოგბურთი. აშშ-ს ღია ჩემპიონატი (11.45, 21.15). ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. კუბის ნაკრები — ჰოლანდიის ნაკრები (16.55), რუსეთის ნაკრები — კენიის ნაკრები (19.55), *EUROSPORT.* ნიჩბოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 12.00, 17.00). კლდიდან წყალში ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი (13.30). მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა (17.30, 19.30, 20.00, 2.15).

**თუ სხვაგან ვერ მოახერხეთ, „ლელოს“ შეძენა ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გამომცემლობა „სამშობლოს“ (კოსტავას ქ.14) წინ, გამავრცელებელთან. მიიღება დაკვეთაც.**

## საბონისი ნბა-ში დაბრუნდა



ცნობილი 38 წლის ლიტველი კალათბურთელი არვიდას საბონისი ნბა-ს კლუბ „პორტლენდში“ დაბრუნდა. საბონისს ძველ კლუბთან ახალი კონტრაქტისათვის ხელი წუხელ უნდა მოეწერა. გეტყვით, რომ ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ლიტველი 7 მილიონ დოლარს მიიღებს წელიწადში. შეგახსენებთ, რომ არვიდას საბონისი იყო მსოფლიოს (1982 წ.), ევროპის (1985 წ.) და ოლიმპიური (1988 წ.) ჩემპიონი საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში, 6-ჯერ აღიარეს ევროპის საუკეთესო კალათბურთელად. 1995 წელს მადრიდის „რეალთან“ ერთად ევროლიგა მოიგო, შემდეგ კი ნბა-ს მიაშურა, სადაც 392 მატჩი ჩაატარა „პორტლენდის“ შემადგენლობაში.



## კროსვორდი № 67

თარაზულად: 1. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აბრევიატურა, 3. უკრაინის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი, 7. საქართველოს სათხილამურო ცენტრი, 9. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 11. საჭადრაკო ფიგურა, 12. მოჭადრაკე ქართველ ქალთა დიდი მასწავლებელი, 13. ქართულენოვანი გაზეთი, 16. მსახიობ ელიავას სახელი, 19. რთული მუსიკალური ინსტრუმენტი, იყენებენ ეკლესიებში, 20. შეფასება ძიუდოში, 21. თავაშვებული, წრეგადასული დროსტარება.

შვეულად: 1. ნელი ქარი, 2. სპორტული ნავი, 4. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, 5. წარსულში ცნობილი ქართველი მსახიობი, 6. ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის (1966) თილისმა, 8. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მცველი, 10. ტალავერი ანუ... 14. განთიადი ანუ... 15. ძვირფასი მინა, გამოიყენება სპორტულ ჯილდოდ, 16. მდინარე ციმბირში, 17. წარსულში სახელგანთქმული იაპონელი ვაჟი ტანმოვარჯიშე, 18. ცნობილი უნგრელი მოჭადრაკე ვაჟი.

### კროსვორდი №66. პასუხები

თარაზულად: 1. ხანტეი, 5. ჰავბეკი, 6. სამპრასი, 8. შელია, 9. ილიე, 10. ფიფა, 12. კავალერია, 15. შტილი, 17. შარაძე, 18. ერი, 19. ლონე, 20. ანდორა, 21. ირაო. შვეულად: 1. ხასაია, 2. ბა, 3. „აბვერი“, 4. ოკრიბა, 5. ჰიტლერი, 7. მეიფარიანი, 10. ფარაონი, 11. ფორა, 13. ალე, 14. აშული, 16. არია.

## საჭადრაკო ამოცანა

ლ, კუბელი



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. კd8! 1. ...მფg5 2. მe:g6X.
1. ...მფe4 2. ე3:d4X.
1. ...e4 2. კc7X. 1. ...g5 2. ე:f3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com